მისამართზე:ქალაქი თბილისი, ჭუჩა გოთუა №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე
(ს/კ 01.10.13.003.049) სწრაფი კვების ობიექტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის

- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41 "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობის

საექსპერტო დასკვნა

დირექტორი:
ალექსანდრე ზაქარეიშვილი:

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

5 მაისი 2025 წ.

შენიშვნები.

1.საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" და "2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენთან "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტებთან" შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2.საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.

4.სახანძრო უსაფრთხოების სისტემები და საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემები, შემუშავებული და მოწყობილი უნდა იყოს NFPA სტანდარტებისა და "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" გათვალისწინებით.სისტემების მონტაჟი უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი ზედამხედველობის ქვეშ და დასრულების შემდგომ ჩაუტარდეს შემოწმება-ტესტირება.

5.მშენებლობის პროცესში გამოყენებული სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალები, ასევე მათი სპეციფიკაციები და მოწყობის ტექნოლოგიები უნდა აკმაყოფილებდეს "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" მოთხოვნებს.

6.აღნიშნული საექსპერტო დასკვნის მიზანია, დადგინდეს წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისობა "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან და მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან. წარმოდგენილ ექსპერტიზაში განხილულია მხოლოდ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისობა ტექნიკურ რეგლამენთთან.

პროექტის აღწერა.

საექსპერტოდ წარმოდგენილი სწრაფი ჯვების ობიექტის მშენებლობა დაგეგმილია მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა გოთუა №7, 01.10.13.003.049 საკადასტრო ერთეულზე.საპროექტო ნაკვეთის საერთო ფართი 2278 კვ.მ-ს შეადგენს.

საპროექტო შენობა-ნაგებობა შედგება სამი სართულისგან, რომელთაგან ერთი არის მიწისქვეშა. საპროექტო შენობაში -2.50 ნიშნულზე გათვალისწინებული წყლის რეზერვუარი და სატუმბი სადგურის მოწყობა.მიწისპირა სართულზე განთავსებულია მთავარი დარბაზი, კომერციული სამზარეულო საწყობები და პერსონალი სამუშაო ოთახები.+4.00 ნიშნულზე დახურული და ღია დარბაზი, ტერასის სახით.ასევე დაგაბედის დღის სივრცე, სათამაშო ოთახი, პერსონალის სამუშაო ოთახები და ტუალეტები.აქვე უნდა აღინიშნოს რომ შენობის მეორე სართული მისაწვდომია, და სწორად ამ ნიშნულზე მდებარეობს მისაწვდომი ტუალეტიც.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომი, სადაც საერთო რაოდენობიდან გამომდინარე გათვალისწინებულია ორი მისაწვდომი სადგომი, რომელტანა ერთი განკუთვნილია მიკროავტობუსისთვის.საპროექტო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია სახანძრო სამსაშველო მაქნანის მისადგომი მთავარ შესასვლელთან.

კორექტირებულ პროექტში შესულია შემდეგი ცვლილებები:
(ცვლილებები მონიშნულია გეგმებზე, შესაბამისი ნუმერაციით)

1.ტეტიროაიზე შეცვლილია ბორდიურების და გამწვანების კონტურები.

2.შეიცვალა ცენტრალურ კართან პანდუსის ადგილმდებარეობა, ასევე საპარკინგე ადგილების კონფიგურაცია.

3.მეორე სართულზე გაუქმდა ტიხარი.

4.მეორე სართულზე შეიცვალა სველი წერტილის ტიხრები.

5.გაუწმდა ტიხარი ტექნიკური ოთახში.

საექსპერტო დასკვნის შემადგენლობა.

1.დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.
2.კონსტრუქციის ტიპების შეფასება.
3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.
4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.
5.გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.
6.მისაწვდომობის შეფასება.
7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
8.სახურავის ანაწყობების შეფასება.
9.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამიჯვნების შეფასება.
10.ხანძრისგან დაცხის სისტემების შეფასება.
11.წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.
12.ლიფტების შეფასება.
13.ავტოსადგომის შეფასება.
14.დასკვნა

1.დაკავებულობის დატვირთვების შეფასება.

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განთავსებული თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას.დაკავებულობები არის კლასიფიცირებული წესების მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი ჯგუფები:

1.თავშეყრის ჯგუფი (თვ-2) აღნიშნული დაკავებულობა გათვალისწინებულია შებობის 0 სართულზე (0.00 ნიშნული) სადაც მდებაორებს მთავარი დარბაზი და მასთან დაკავშირებული კომერციული სამზარეულო.ასევე თვ-2 ჯგუფი გათვალისწინებულია+1 სართულზე (+4.00 ნიშნული), სადაც მდებარეობს ღია და დახურული დარბაზი, სათამაშო სივრცე და დაბადების დღის სივრცე.წესების მიხედვით თვ-2 დაკავებულობა გამოიყენება ისეთი სივრცეებისთვის, რომლებიც განკუთვნილია თავშეყრისა და კვებასთან დაკავშირებულ სივრცეებში.თვ-2 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვის მინიჭებული ფაქტორი შეადგენს 1.4 მთლიანს სასადილო დარბაზისთვის და 18.6 მასთან დაკავშირებული კომერციული სამზარეულოსთვის, რაც აკმაყოფილებს 1004.1.2 ცხრილს.

2.საქმიანი ჯგუფი (სქ) აღნიშნული დაკავებულობა გათვალისწინებულია შებობის 0 სართულზე (0.00 ნიშნული) და +1 სართულზე (+4.00 ნიშნული) სადაც გათვალისწინებულია პერსონალის სამუშაო სივრცეები.წესების მიხედვით სქ დაკავებულობა გამოიყენება ისეთი სივრცეებისთვის, რომლებიც განკუთვნილია პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობისთვის.აღნიშნული ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვის მინიჭებული ფაქტორი შეადგენს 9.3 მთლიანს.

3.სასაწყობო ჯგუფი (სწ-2) წარმოდგენილი პროექტით სწ-2 დაკავებულობის გამოყენება გათვალისწინებული შენობის 0 (0.00 ნიშნული) სადაც გათვალისწინებულია სასაწყობე ფართები. დაკავებულობის დატვირთვის მინიჭებული ფაქტორი შეადგენს 46.5 მთლიანს.წესების მიხედვით სწ-2 დაკავებულობა განეკუთვნება ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომებისთვის, ასევე ლითონის კარადების, მსრალი ელექტროელემენტების და სხვა ტიპის მცირე საფრთხის შემცვლელი ნივნეთის შესანახად.

4.დამხმარე ჯგუფი (დს) აღნიშნული დაკავებულობა პროექტში გათვალისწინებულია -1 სართულზე (წყლის რეზერვუარი და სატუმბი სადგური) და +1 სართულზე (საკუჭნაო).წესების მიხედვით დს დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების სივრცეებს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.აღნიშნული ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვის მინიჭებული ფაქტორი შეადგენს 27.9 მთლიანს.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთზე ცალკე მდგომ დამხმარე შენობას, ის განეკუთვნება I კლასის შენობას, რაც არ ხვდება 41 დადგენილების მე-2 მუხლის I პინქტის შესაბამისად რეგლამენტის მოქმედების სფეროში და მას არ აქვს მინიჭებული დაკავებულობა.

დაკავებულობისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოყენებული დაკავებულობები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე სწორად არის შერჩეული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრულია წესების 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

2.ჯონსტრუქციის ტიპის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების ცხრილი 503, საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის მიხედვით (ცხრილი 721.1), შენობაში არსებული დაჯავებულობებისა და შენობის სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის შერჩეულია II-B ჯონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, მზიდი კედლების, სახურავის ჯონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს, ხოლო შენობის ელემენტების, კომპონენტებისა და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721-ე ქვეთავის მიხედვით.შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს

ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისთვის შეადგენს:

ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო - 0სთ.
მზიდი კედლები გარე და შიდა -0სთ.
იატაკის ჯონსტრუქცია და არაძირით ადი ნაწილები - - - - - - - - 0 სთ.
სახურავის ჯონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები - - - - - - 0 სთ.

ჯონსტრუქციის ტიპის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში გამოსაყენებელი მასალების, ასევე დაჯავებულობებისა და სიმაღლის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული ჯონსტქრციული ტიპი, და აღნიშნული აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

3.სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებული დაჯავებულობებისა და ჯონსტრუქციული ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი არ ცდება 503-ე ცხრილში განსაზღვრულ ზღვრებს.

შენობაში გათვალისწინებული დაჯავებულობების ფართობები და სართულიანობა განაწილებულია შემდეგი სახით.

თავშეყრის ჯგუფი (თ3-2) - - - - - - - - -სართულიანობა 2/ საერთო ფართობი 211.18/ 245.18 მ²
საძმიანი ჯგუფი (ს4) - - - - - - - - - - - - სართულიანობა 4/ საერთო ფართობი 16.63/ 33.90 მ²
სასაწყობე ჯგუფი (ს6-2) - - - - - - - - - სართულიანობა 4/ საერთო ფართობი 47.25 მ²
დამხმარე ჯგუფი (დს) - - - - - - - - - - სართულიანობა 2/ საერთო ფართობი 46.09/ 10.92/ 15.12 მ²

სიმაღლისა და ფართობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაჯავებულობების ფართობი განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს მე-5 თავის 503 ცხრილის მოთხოვნებს.როგოც აღინიშნა შენობის ჯონსტრუქციულ ტიპად არჩეულია II-B, რომლისთვისაც ცხრილი 503-ის შესაბამისად განსაზღვრულია შენობის სიმაღლე, სართულიანოდა და დაჯავებულობების ფართობი.

4.გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელების და შენობის გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელ სისტემაში შემავალი სამივე ელენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაჯავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაჯავშირებული შეზღუდვებისა და გასასვლელის კომპონენტების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

საპროექტო შენობას, ცხრილი 1021.2(2) ცხრილის შესაბამისად ესაჭიროება მინიმუმ ორი გასასვლელი, როგორც პირველ ასევე მეორე სართულზე.

საპროექტო შენობის მეორე სართულზე გათვალისწინებულია ორი გასასვლელი საშუალება გზა-ჯიბე.გასასვლელები მოწყობილია 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად, ჯერძოდ №2 გამონაკლისის თანახმად, ავტოსაშხეპი სისტემის არსებობის გათვალისწინებით, გზა-ჯიბეები დაშორებულია სართულია საერთო მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის არანაკლებ ერთიმესამედით.

შენობაში განთავსებულ მცირე ზომის ფართობებს, მაგალითად გასახდელები, ემსახურება თითო დამოუკიდებელი გასასვლელი გზა-ჯარი, რაც სავსებით საკმარისია.შენობიდან გასასვლელები უზრუნველყოფს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს, რაც აკმაყოფილებს წესების 1027.5 ქვეთავს.

გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორად, გასასვლელისგან ყველაზე დაშორებული ფართობის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს წესების 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომებისა და გასავლელების და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული კომპონენტები შესრილებულია წესების მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

5.გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების განტარუნარიანობების შეფასება.

შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებული გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-ჯიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.გზა-ჯიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-ჯიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1 ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ.) პროექტის მიხედვით შენობაში გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1.1 მეტრი) მეტი სიგანის გზა-ჯიბეები და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულზე.ჯიბის თავისუფალი მინიმალური სიგანე კედლიდან მოაჯირამდე შეადგენს 1.10 მეტრს. ასევე აკმაყოფილებს 1018 ქვეთავის გამონაკლისს მოთხოვნებს.გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-დერეფნების სიგანე შეადგენს 1.20 მეტრს.

გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-ჯარები მოწყობილია წესების 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.აღსანიშნავია ისიც, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-ჯარი უნდა აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნებს ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.გასასვლელ სისტემაში შემავალი გზა-ჯარების მინიმალური თავისუფალი სიგანე 90 გრადუსიანი გაღების შემთხვევაში შეადგენს 0.82 მეტრს.

გზა-ჯიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული გასასვლელი საშუალებების სიგანე და გამტარუნარიანობა განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს შესაბამისი ქვეთავების მოთხოვნებს.

6.მისაწვდომობის შეფასება.

საპროექტო შენობაში მასაწვდომობა უზრუნველყოფილია რესტორნის დარბაზში, ტერასაზე, დაბადების დღის სივრცეში და სათამაშო ოთახში.შენობას ემსახურება საჭირო რაოდენობის მისაწვდომი ტუალეტი და მისაწვდომი სასადილო ზედაპირები (მაგიდები).

საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც აკმაყოფილებს 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

შენობაში გათვალისწინებულია ლიფტი, რომლის კაბინის ზომები მისაწვდომის შშპ პირთათვის.შესაბამისად მისაწვდომია შენობის მეორე სართულიც.

შენობაში მოწყობილი მისაწვდომი ტუალეტი აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც აკმაყოფილებს 1007.1 ქვეთავის მოთხოვნებს.სწრაფი კვების დარბაზში გათვალისწინებული მისაწვდომი სასადილო ზედაპირების საერთო რაოდენობა უნდა შეადგენსდეს საერთო რაოდენობის 5%-ს.

ყველა ჯარი, რომელიც გასასვლელი საშუალების კომპონენტია არის მისაწვდომი.სართულის გეგმებზე და გენ.გეგმაზე დატანილია მისაწვდომი სვლაგეზი, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და აკმაყოფილებს 1104 ქვეთავის მოთხოვნებს.

ტერიტორიაზე მოწყობილი გარე ავტოსადგომი უზრუნველყოფილია 1106.1 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად მისაწვდომი ავტოსადგომების რაოდენობით.ორი მისაწვდომი ავტოსადგომიდან ერთი აკმაყოფილებს მიკროავტობუსისთვის დადგენილ პარამეტრებს.

მისაწვდომობის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობაში უზრუნველყოფილია მისაწვდომობა. გეგმებზე ნაჩვენებია მისაწვდომი სვლაგეზები.მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომები და ფიქსირებლი წყალსადენის ელემენტები და ტუალეტები,შესაბამისად წარმოდგენილი შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს მე-11 თავის მოთხოვნებს და შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი,მათ შორის გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობის ოთხივე ფასადზე ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 9 მეტრს.წესების 602 ცხრილისა და საპროექტო შეენობის კონსტრუქციული ტიპიდან გამომდინარე (II-B) აღნიშნულ მონაკვეთებში გარე კედლებისთვის ხანძარმედეგობის ხარისხი არ არის მოთხოვნილი. ასევე 705.8 ცხრილის შესაბამისად არ არის გათვალისწინებულია ღიობების ჰროცენტულობის შეზღუდვარაც.

გარე კედლების ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით და წყობით აგებულ კედლებს, წესების 1403.2 ქვეთავის გამონაკლისის შესაბამისად.ვინაიდან შენობის გარე კედლები წარმოადგენენ ბეტონის ბლოკის წყობას, მათი დაცვა ატმოსფერული ზემოქმედებისგან სავალდებულო არ არის.რაც შეეხება გარე კედლების საფარს, შენობის ფასადი ნაწილობრივ მოპირკეთებულია

გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლები და ღიობები აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის და 602 ცხრილის მოთხოვნებს.

8.სახურავის ანაწყობების შეფასება

საპროექტო შენობა-ნაგებობის სახურავის სტრუქტურა და არაძირითადი ნაწილების შეფასება განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის გათვალისწინებით (II-B).აღნიშნული კონსტრუქციის ტიპისთვის, სახურავის ცეცხლმედეგონის ხარისხი განსაზღვრული არ არის.

საპროექტო შენობის სახურავი არის ბრტყელი, გადახურვის ფენილი შედგება რკინა-ბეტონის მონოლითური გადახურვის ფილაზე მოწყობილი ორთქლიზოლაციისგან, მსუბუქი შემავსებლის ქვიშაცემენტის ხსნარით მოწყობილი მოჭიმვის, ჰიდროსაიზოლაციის და მასზე მოწყობილი ჯენჭნარისაგან, რომელზედაც მოწყობილია არმირებული ქვიცემენტის მოჭიმვისგან,აღნიშნული სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს წესების 1507.10 ქვეთავის მოთხოვნებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებით.სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს (ცხრილი 1505.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 და ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს ჯედლისა და სახურავის გადაჯვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.სახურავის წყალარინების სისტემა წარმოდგენილია 100 მმ.დიამეტრის წყალსადენი მილებით რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის C კლასს (ცხრილი 1505.1ა).სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია 1507.10.2 და 1507.4.3(2) ცხრილების შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM A 653 G-90 და ASTM D 3909 სტანდარტების მოთხოვნებს.

სახურავის ანაწყობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით.საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავის ანაწყობები სახურავის ბურული და არაძირითადი ნაწილები შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

9.ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამიჯვნების შეფასება.

საპროექტო შენობა-ნაგებობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების 508 ქვეთავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებული დაკავებულობები 508.4 ცხრილის შესაბამისად გამიჯნულია ერთმანეთისგან ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე გამიჯნავებით.კერძოდ ერთმანეთს ემიჯნება თვ-2, სქ და სწ-2 დაკავებულობები რომლებიც ერთმანეთისგან გამიჯნულია 1 საათიანი გამმიჯნავებით 508.4 ცხრილის შესაბამისად.

შენობაში არსებული საკომუნიკაციო შახტები შემოზღუდულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე ჯედლებით, რაც აკმაყოფილებს უსაფრთხოების წესების 713.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციისა და წესებისმოთხოვნების მიხედვით, მოწყობილი ცეცხლმედეგი გამიჯნავები, მასალის ცეცხლმედეგობა, განთავსების სტრუქტურული მთლიანობა და უწყვეტობა უნდა აკმაყოფილებდეს წესების მე-7 თავის მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით და სრულ შესაბამისობაშია წესების მოთხოვნებთან.

10.ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში, შენობის დაკავებულობების, სიმაღლისა და ფართობების გათვალისწინებით, წესების მოთხოვნის მიხედვით გათვალისწინებულია ხანძრისგან დაცვის შემდეგი სისტემები:

- ავტოსაშხეპი სისტემა

903.2.1.2 მოთხოვნათა შესაბამისად, შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გარდა იმ ფართობებისა, სადაც წესების მიხედვით განსაზღვრული არ არის.

ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1 - 903.3.6 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით (102.3 ქვეთავის თანახმად, დასაშვებია მითითებული სტანდარტების შესაბამისი სხვა სტანდარტების გამოყენება)

904.11 ქვეთავის თანახმად, რესტორნის სამზარეულოში და ტექნიკური მოწყობილობების ფართებში გათვალისწინებულია ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა.

ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემა უნდა მოეწყოს 904-ე ქვეთავის მიხედვით. ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები, რომლებიც მოწყობილია 903-ე ქვეთავში განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემების ალტერნატივად, შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

- ხელის ცეცხლმაქრები

906 ქვეთავის შესაბამისად ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია თვ-2 დაკავებულობებში, ასევე სართულების დერეფნებში (სახანძრო კარადაში)

- სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები

სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, გათვალისწინებულია 907.2.9.1 ქვეთავის მოთხოვნების თანახმად.ასეთი კოლოფები განთავსებულია თითოეულის სართულის მომსახურე გასასვლელიდან 1.5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომი მანძილი არ აღემატება 60 მეტრს, რაც აკმაყოფილებს 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

907.2.11.2 ქვეთავის შესაბამისად შენობის ყველა დაჯავებულობაში და დერეფნებში გათვალისწინებულია ჯვამლზე მორეაგირე მოწყობილობები.

907.5.2.2 ქვეთავის შესაბამისად, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა გათვალისწინებულია თითოეულ სართულზე ლიფტებთან და გზა-კიბეებთან.

თითოეულ სართულზე ლიფტის შესასვლელტან მოწყობილია ჯვამლის ავტომატური აღმომჩენი, როლითაც უნდა გააქტიურდეს ლიფტის დაწნევის სისტემა, რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ჯვამლის საკონტროლო სისტემა.

ლიფთის შახტებში და მათი ფოეი, გზა-კიბეებსა და დერეფნებში გათვალისწინებულია ჯვამლგამწოვი სისტემა (მექანიკური განიავება), რაც აკმაყოფილებს 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები.

საპროექტო შენობა აღწურვილია სახანძრო-სამსაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებით.სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია საზოგადოებრივი სივრცეში, სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან. იგი ადვილად დასანახია და ამოსაცნობი რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.სახანძრო მისაერთებლები უნდა განთავსდეს NFPA-ის სტანდარტების შესაბამისად.საპროექტო ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია სახანძო ჰიდრანტი.

შენიშვნა:სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.

- სახანძრო ტუმბო და წყლის რეზერვუარი.

სანაძრო ტუმბოებისა და რეზერვუარის ოთახი განთავსებულია საპროექტი შენობი -2.50 ნიშნულზე

შენიშვნა:
1.საექსპერტოდ წარმოდგენილი დამუშავებული გრაფიკული მასალა წარმოადგენს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების კონცეფციას. 903.3.1.1 ქვეთავის შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები უნდა დაგეგმარდეს და დამონტაჟდეს შესაბამისი საინჟინრო პროექტების შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია NFPA სტანდარტებით, თუმცა 102.3 ქვეთავის შესაძლებელია სხვა სტანდარტის გამოყენებაც.ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მონტაჟი უნდა განხორციელდეს სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.აუცილებელია სახანძრო განგაშის სისტემების დაყენების შემდგომ მოხდეს მათი შემოწმება-ტესტირება, შესაბამისი NFPA სტანდარტებით და ზედამხედველობით.სახანძრო სამსაშველო სამსახურების მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები უნდა განთავსდეს ისე, რომ იყოს ადვილად დასანახი და ამოსაცნობი, და უნდა აკმაყოფილებდეს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

2.სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს: ცეცხლის/ჯვანლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა, გასასვლელების ნიშნები და გასასვლელი საშუალებების განათება, სახანძრო განგაშის სისტემა, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები.

3.იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტირებელი შენობიდან 200 მეტრში უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ჩაქრობისთვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.

11.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაჯავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის შესაბამისად.პროექტში გათვალისწინებული თითოეული დაჯავებულობისთვის განსაზღვრულია წყალსადენი სისტემის ფიქსირებული რაოდენობა და მინიმალური მოთხოვნები.

შენობაში გათვალისწინებულია სამომსახური ნიჟარა, რომელიც განთავსებულია დამლაგებლის ოთახში,ასევე შენობა უზრუნველყოფილია სასმელი წყლის აპარატით, რაც ასრულებს დასალევი შადრევნის ფუნქციას.

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემების და ფიქსირებული მოწყობილობების, წესების მოხედვით საჭირო რაოდენობა.წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს წესების 1602 ქვეთავის მოთხოვნებს.

12.ლიფტების შეფასება.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია ერთი ლიფტის მოწყობა რომლებიც როგორც აღინიშნა მე-6 პუნქტში მისაწვდომია და შენობის ყველა დონეს მისაწვდომს ქმნის შშმ პირთათვის.

13.ავტოსადგომის შეფასება

საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ავტოსადგომი. ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს .ავტოსადგომებზე ასევე გათვალისწინებულია მისაწვდომი სადგომების საჭირო რაოდენობა.მათ შორის გათვალისწინებულია ერთი მიკროავტობუსის სადგომი რომლის ჯამური სიგანე თავისუფალ სივრცესტან ერთად შეადგენს 5 მეტრს.

საავტომობილო გზის სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს და შეადგენს მინიმუმ 6 მეტრს.საავტომობილო გზის მოხვევის რადიუსები აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეტავის მოთხოვნებს და შეადგენს 3.5 მეტრს.

ავტოსადგომის შეფასება განხორციელდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით,წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საპროექტო შენობა-ნაგებობაში გათვალისწინებულია ავტოსადგმო ალმაყოფილებს წესების 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს და შესაბამისობაში შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან.

14.დასკვნა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით დავადგინე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა გოთუა №7-ში (ს/კ 01.10.13.003.049) ასაშენებელი სწრაფი ჯვების ობიექტის არქიტექტურული პროექტის "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41"-ის მიხედვით "შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესებთან" შესაბამისობაში ყოფნას.

დაჯავებულობების ჯგუფების შერჩევა და ასევე მათი დატვირთვის გამოანგარიშება, და კონსტრუქციის ტიპის განსაზღვრა განხორციელებულია სწორად და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

წარმოდგენილი ობიექტის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს.

გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელების და შენობისან გამოსასვლელების ნორმები აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.ასევე დამაკმაყოფილებელია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

შენობა მისაწვდომია შშპ პირებისთვის და აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს.

გარე კედლები ცეცხლმედეგობის ხარისხი და სახურავის ანაწყობები აკმაყოფილებს "წესების" 602 და 705.8 ცხრილების მოთხოვნებს.

ცეცხლმედეგობის ხარისხი გამმიჯნავეების მიმართ განსაზღვრულია "წესების" შესაბსმიად.

ხანძრისგან დაცვის სისტემები და წყალსადენი სისტემების ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა და ავტოსადგომების შეფასება ასევე აკმაყოფილებს " წესების" მოთხოვნებს.

საპროექტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე.საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე ცვილების ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმესახის ცვლილებისას, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და შეფასებების გაუქმებას.შემდგომი პროექტირებასა და მშენებლობისას გათვალისწინებული იყოს შესაბამის ქვეთავებში განსაზღვრული შენიშვნები.

კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია ცვლილებები, შენობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობაზე არ მოქმედებენ.

განმარტებები:

1.სართულების გეგმებზე დატანილია შენობის მაქსიმალური დიაგონალი და გასასვლელებს შორის მანძილი, რომელიც 1015.2.1 ქვეთავის, №2 გამონაკლისის შესაბამისად არ არის საერთო მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის ერთმესამედზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს ქვეთავის მოთხოვნებს.

2.როგორც აღინიშნა მე-ბთავში, შენობის ყველა აუცილებელი ნაწილი არის მისაწვდომი.მისაწვდომია მთავარი შესასვლელი და შენობის მეორე სართული, სადაც მოხვედრა ხორციელდება მისაწვდომი ლიფტის მეშვეობით.შენობაში მოწყობილია შშმ პირთათვის მისაწვდომი ტუალეტი, რომელიც აღწურვილია საჭირო მოწყობილობებით. საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია მისაწვდომი ავტოსადგომების საჭირო რაოდენობა.

დირექტორი:
ალექსანდრე ზაქარეიშვილი:

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

5 მაისი 2025 წ.

14.მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი

2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენთი "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"

1. მისაწვდომი სვლაგეზები.
2. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები.
3. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.
5.დასკვნა

1. მისაწვდომი სვლაგეზები.

საპროექტო მიწის ნაკვეთისა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტის მე-4 თავის მოთხოვნებს.მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრის სავალ ზედაპირებს, ჯარებს, პანდუსს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
-იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
-საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი არ აღემატება 1:48-ს, 403.3 ქვეთავის შესაბამისად.
-იატაკის ზედაპირების დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303 ქვეთავის მოთხოვნები.
-მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში შეადგენს 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
-სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელტან მოახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთვის მოთხოვნებს.
-სადაც მოსაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელის მიახლოებისას და მის მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეტავის მოთხოვნებს.
-მისაწვდომ სვლაგეზზე მოწყობილია ოთახებში და ტუალეტებში შესასვლელი ჯარები, რომელთა თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
გვ -9
-მისაწვდომ სვლაგეზზე გათვალისწინებულ ჯართან უზრუნველყოფილია მანევრირებისთვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად.მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
-მისაწვდომი ტუალეტის ჯარის ზღურბლის სიმაღლე არ აღემატება 13 მმ-ს, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნებს, რაც შეეხება იატაკის დონეებს შორის ცვლილებას, ჯარებთან იატაკის დონეები უცვლელია.
-ჯარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნებს
-შენობაში გათვალისწინებული ლიფტის კაბინის ჯარი მდებარეობს ცენტრში და მისი თავისუფალი სიგანე შეადგენს 1000 მმ, რაც აკმაყოფილებს 407.4.1 ქვეთავს.

2. ადგილისა და შენობის ზოგადი ელემენტები

საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისადგომი ავტოსადგომების რაოდენობა და ტიპი განსაზღვრულია დადგენილება №41-ს შესაბამისად.
-ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასასვლელები შეესაბამება 302 ქვეტავს და მათი ზედაპირები არ არის 1:48- ზე მეტად დახრილი.გასაჩერებელი სივრცეები ესაზღვრება მისაწვდომ გასასვლელეს, ხოლო მისაწვდომი გასასვლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს.აღნიშნული მოწყობილია 502.4 და 502.4.4 ქვეთავების შესაბამისად.
-მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც მოიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით მოიცავს წარწერას.

-მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისთვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს.
საპროექტო შენობაში მისაწვდომი ჯიბის არსებობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41-ს საფუძველზე,ჯიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკურ რეგლამენტს, მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტი.
-ჯიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯეები.ჯიბის ამაღლება არ აღემატება 180 მმ, ხოლო სიღრმე მეტია 280 მმ-ზე.რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.
-საფეხურების საბიჯეები დაქანება არ აღემატება 1:48, რაც შეესაბამება 302 ქვეთავს.
-ჯიბის ყოველი საფეხურის და საბიჯეების 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, უნდა ჰქონდეს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურების დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავდება.ხილვადი კონტრასტი უნდა გაგრძელდეს საფეხურების ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდამდე.
-ჯიბის საზღვრებში მოწყობილია სახელურები უნდა შეესაბამებოდეს 505 ქვეტავის მოთხოვნებს.
-გასასვლელი (EXIT) გასასვლელის გზა-ჯიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განტავსებული და ასეთივე ნიშანი განტავსებულია ჯიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან.აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეტავების მოთხოვნებს.ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი ნიშანი, წარწერით.
-სხეულის ამოსაცნობად, შიგა გასავლელის გზაჯიბის საზღვრებში, თითოეულ სართულის ბაქანთან, დერეფნებში გამავალ კარის მომიჯნავედ უნდა განთავსდეს 703.3 და 703.4 ქვეთავით განსაზღრული ნიშნები.სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი განმეორებულია ბრაილიც, 703.3.1 ქვეთავის შესბამისად.ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეტავს.ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განტავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, 703.3.11 ქვეთავის შესაბამისად.

3. საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები.

-გასასვლელის გზა-ჯიბეების შესასვლელ ყველა კართან, ჯიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან 0.00 ნიშნულზე გარეთ გამალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით გასასვლელი (EXIT). აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელი გზა-ჯიბის საზღვრებში, თითოეულ სართულის ბაქანტან დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი.აღნიშნული ნიშანი უნდა შეესაბამებოდეს 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
-თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომობის თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობტან მოწყობილია ნიშანი წარწერით "თავშესაფრის ფართობი", მისაწვდომობის საერტაშორისო სიმბოლოთი, ასეთი ნიშანი უნდა შეესაბამებოდეს 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
-თავშესაფრის ფართობთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა.
-ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
-ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, 703.3 ქვეტავის შესაბამისად.
-ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია "SANS SERIF"-ის ტიპის შრიფტი.სიმბოლოები არ არის შესრულებული ატალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, 703.3.4 ქვეთავის შესაბამისად.
-შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონების შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5-703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
-სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.

-ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნების განთავსების არეალებში შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
-სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერია ფონი აქვთ) 703.3.12 ქვეთავის შესაბამისად.
-ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, 703.4.1 ქვეთავის შესაბამისად.
-ბრაილის წერტილებს აქვთ გუმბათიანი ფორმა და ისინი უნდა შეესაბამებოდეს 703.4.3 ცხრილს.
-ბრაილის განთავსების პოზიცია შესაბამისობაშია 703.4.4 ქვეთავის მოთხოვნებთან.
-მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონი არ არის ამრეკლავი.

5.დასკვნა.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტისა და თანდართული დოკუმენტაციის, ჩატარებული საექსპერტო ანალიზით დავადგინე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა გოთუა №7-ში (ს/კ 01.10.13.003.049) ასაშენებელი სწრაფი კვების ობიექტის არქიტექტურული პროექტის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენთან "მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან" შესაბამისობაში ყოფნას

ჩატარებული ანალიზის შედეგად, ასევე მიგვაჩნია, რომ საპროექტო მრავალფუნქციური კომპლექსის მისაწვდომობის პროექტი და პროექტთან თანდართული გრაფიკული მასალა შესაბამისობაშია 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენთან "მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები"

დირექტორი:
ალექსანდრე ზაქარეიშვილი:

არქიტექტორ-ექსპერტი:
იოსებ თოხაძე

5 მაისი 2025 წ.